ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ.

№ წიგნ. 9808




ხათაბალა-ს ავტორი და მთავარ როლ. შემსრულებელნი

ქართული 1910 თეატრი

ხვალ, ორშაბათს, 29 მარტს 1910 წ.

მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა

გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება

# ხათაბალა

კომ. 4 მოქ. გ. ნ. სუნდუკიანცისა



. მ. გაბ.-ცაგარლისა (ხამფერა)



მ. მ. საფ.-აბაშიძისა (ნატო)



დ. ყიფიანი (გარასიმ იაკულიჩი)



ვ ა. აბაშიძე (ისაია)



გ. ნ. სუნდუკიანცი (ავტორი)

9807 გ

ეროვნული ბიბლიოთეკა


# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო და ჟურნალი

კვირა 28 მარტი 1910

№ 13

წლიურად 5 მ. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღ. დრ. საზ. კანტ. იოსებ იმედაშვილთან. Тифлисъ редакція „Театри да цховреба" Іос. Зах. Имедашвили

„თეატრი და ცხოვრების" რედაქციის კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ დააჩქარონ ხვიდრი ფულის გამოგზავნა.



**შინაარსი:** რატომ არა კეთდება-რა—მეთაური; დემონი—გ. ტაბიძისა; ოსკარ უაილდი და ხელოვნება—პ. დადვაძისა; ხული ყვავილად ქცეული—ლევ. მეტრეველისა; უიმედო—იმერელი ქალისა; საღამო იყო—გ. ფოცხოველისა; დრამ. გამგეობის წევრი—ივ. გომართლისა; დრამატიულ მოღვაწეობის ასპარეზზე—ზ. ჭიჭინაძისა; საფ.-აბაშიძისა; ლექსი—დ. გაბრუაშვილისა; სათეატრო ამბები; შთაბეჭდილებანი—ცისკარისა; ლექსი—გ. შინატეხელისა; ვარსკვლავთმრიცხველობა—იოსებ არიმათიელისა; დავაფასოთ—Par-Don-ისა.


3/95

## 28 მარტი 1910 წ.

**რატომ არა** ნიანგის ცრემლთა ფრქვევას, **კეთდება-რა?!** განუწყვეტელს წუწუნსა და ურთიერთის უსაბუთო კილვა-კიცხვას რომ რისამე გაკეთება შეეძლოს, ჩვენისთანა ბედნიერი არავინ იქნებოდა...

დიდს ნიჭს ვიჩენთ სიტყვოსნობაში, უშინაარსო კამათში, ბეჭდვითი სიტყვით კინკლაობაში, ხოლო რომელიმე ჩვენი საზოგადო საქმის ნიადაგი რომ გავაძლიეროთ,—ვერ მოგვიხერხებია...

ჩვენს ერს ტერიტორია ხელიდან ეცლება, ბრწყინვალე წოდება დღეს თავის უნებურად სამშობლოს გამყიდავის როლს ასრულებს, განათლების საქმე გაუკულმართებულია, მწიგნობრობისა—შერყეული, თეატრისა—ნირშეცვლილი... რომელ მხარესაც გავიხედავთ, უნუგეშობის აჩრდილი წარმოგვიდგება თვალწინ, ხოლო სულ რავდენიმე კალმოსანიღა **ჰგოდებს და მოსთქვამს...** „ჩვენსა ბედშაობას, ჩვენს ერთობას დარღვეულს"...

რა არის მიზეზი?!

მეცხრამეტე საუკუნემ ჩვენ—ქართველებს უზრუნველობა, დაუდევრობა გვიანდერძა და თუ კვლავ ამ ანდერძს მტკიცედ დავიცავთ, მაშინ არა თუ პირისაგან ქვეყანისა აღვიგვებით, ვითარცა ერი—ქართველობა,—არამედ გავქრებით კიდეც, როგორც ადამიანები, ვით კაცობრიობის ერთი ნაწილთაგანი, ისე გავითქვიფებით ცხოვრების სრბოლაში, რომ ჩვენი ასავალდასავალიც ვერავინ მიიკვლიოს...

იქნება ზოგთათვის ეს აზრი საამო არ იყოს, მაგრამ რას იზავთ: ეს ისტორიული აქსიომაა, შეურყეველი ჭეშმარიტება და მას ვერავინ შესცვლის...

თანამედროვე საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება, ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლა, ლითონის ბატონობა, კულტურის წინსვლა და ადამიანის სულის უმაღლეს მისწრაფებათა მოთხოვნილება განსაკუთრებული მიზნისაკენ მიაქანებს ყოველს ადამიანს, რა სარწმუნოებასა და ერსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი და რაც გინდ ბევრი ვიცეთ თავში—მიწა ხელიდან მიდის, მწიგნობრობა სულს ღაფავს, თეატრი გასაჭირს განიცდისო, მაინც ვერას ვუშველით, თუ ეგოდენ სიტყვასთან ერთად საქმითაც არ გავისარჯეთ...

ვის შეუძლია დღევანდელ პირობებში კერძო მესაკუთრეს უთხრას, შენს ქონებას ივანეს ნუ აძლევ, პეტრეს მიეციო, მაშინ, როდესაც ივანე დღევანდელი ცხოვრების მთავარ საშუალებას უჩხრიალებს ხელში?..

ვის შეუძლია ჩვენს „ტეტიას", საშუალო მოქალაქეს გინა ბრწყინვალე წოდების ოჯახის შვილს მოსთხოვოს—ქართული წიგნი იკითხეო, როცა ამას არ ასწავლიან და საზოგადოების ჭირისუფალნი არამც თუ მეცადინეობენ ამ სენის აღმოსაფხვრელად, არამედ გულხელ დაკრეფილნი მხოლოდ შორიდან ჰგოდებენ, „ვაი-ვუის" გაიძახიან...

ვის შეუძლიან ჩვენი დროის განათლებულ—გონებით განვითარებულ ადამიანს მოსთხოვოს, შენი სულიერი საზრდო პირგათხუპნულ ჯამბაზების ღრეჭა-ბრეცვაში უნდა იპოვოო?!—ის-კი არ არის სახარბიელო ძალის ძალათი მიიწვიო მაყურებელი თეატრში და ისეთი „წარმოდგენა“ წარუდგინო, რომ სავარძელზე მიეძინოს, ანუ შუა წარმოდგენიდან უკმაყოფილოდ გავიდეს, არამედ ისე უნდა მოეწყოს საქმე, რომ მაყურებელი თვითონვე მიილტვოდეს წარმოდგენაზე დასასწრებლად, მიუცილებელ საჭიროებად მიაჩნდეს ქართულ თეატრში სიარული... დიალ, ქართულ სასცენო ხელოვნებას უნდა მიეკუთვნოს ისეთი მდგომარეობა, რომ დააკმაყოფილოს ჩვენის დროის სულიერი მოთხოვნილება, ქართველი მელპომენაც უნდა გადიქცეს ტვირთმძიმეთა და სულით მაშვრალთა ძუძუ მაწოვებლად,—მაშინ საყვედურს ადგილი აღარ ექნება...

აგრეთვე უნდა გაისარჯოს ჩვენი საზოგადოება ყოველს სხვა საქმეშიაც .. ამიტომ ჩვენის ხალხის გულშემტკივართ, საზოგადო დაწესებულებათა ჭირისუფალთ **საქმით** უნდა მოჰკიდონ **საქმეს ხელი**, იმოქმედონ მონდომებით, თანდანობით და შეუჩერებლივ, თორემ კანონი ისტორიისა, რკინის კანონი ცხოვრებისა შეუბრალებელია და ვაი მას, ვინც ფხიზლად და მედგრად არ დაუხვდება დროის ქარტეხილს...

# დემონი

ტურფა წალკოტში ნორჩ ყვავილის
მოწყვეტა მსურდა,
მაგრამ სერაფიმს ბედკრულისთვის
ესეც შეშურდა:
ყვავილს სინაზით კალთა თვისი
მან დააფარა
და უშფოთველი გულ-წრფელობის
ცრემლი დაღვარა.
მწარე ღიმილით, გესლიანი,
მე მას განვშორდი
და შავს ქვესკნელში განწირულად
დავქროლდი... ვძრწოდი...

* *
*

ოჰ, ვის, ვის ესმის ჩემი კვნესა
და ტანჯვა სულის,
საუკუნეთა მსვლელობაში
გაცივებულის?
ადამიანო, ყოფნა შენი
კუბოდ იცვლება,
მე კი უბედურს თვით სიკვდილიც
არ მეღირსება.
უსიყვარულოდ, უმნიშვნელოდ
მიჰქრიან დღენი,—
ოჰ, ვის, ვის ძალუძს გამოსცადოს
ტანჯვა ესდენი?

გ. ტაბიძე

## ოსკარ უაილდი და ხელოვნება *)

მოდერნიზმის ფილოსოფია შექმნა მეტერლინკმა; წარმოების ატმოსფერაში სულდაგუბებულ თანამედროვე საზოგადოების ესთეტიკა—ოსკარ უაილდმა. ბურჟუაზიული საზოგადოება სულს ლევს მისგანვე წარმოშობილ ცხოვრების ჭაობში. მანქანების განუწყვეტელი გრიალი, რომელმაც ქვეყანა ერთს უშველებელს სახელოსნოს დაამსგავსა, აძრწუნებს არა მარტო აუტანელი შრომით გატანჯულს ხალხს, არამედ ამ ქვეყანა-სახელოსნოს მესვეურთაც. იმედ-მიხდილი ადამიანი ხსნას ეძიებს და თითქო ეს დაუსრულებელი ძიება უნაყოფოდ რჩება.

მეტერლინკი ჰქმნის დუალისტურ ფილოსოფიას: მისი აზრით, თვალ-ხილული მსოფლიოს გარდა არსებობს სხვაც. მის ნაწარმოებში ტანჯული სული განშორდა „დიდსუსამართლობას“ და თავი შეაფარა ზემოხსენებულ „სხვა“ სამყაროს. ოსკარ უაილდმა არ სცნო ამ სხვა ქვეყნის საჭიროება. მან დაგვანახა, რომ ბუნებაც და ცხოვრებაც ხელოვნების მიერ წარმოშობილია, რომ მხოლოდ ჩვენი ფანტაზია სქენს თვალ-ხილულს ქვეყანას და მოვლენათა თუ იმ შინაარსს. ოსკარ უაილდის აზრით ყოველ-დღიური სინამდვილე უაზროა და ულამაზო, მხოლოდ განუსაზღვრელ ფანტაზიის მიერ წარმოშობილი სიცრუე არის უტყუარი ჭეშმარიტება. ადვილი მისახვედრია, რომ ყოველივე ეს შეურაცყოფილი სულის პროტესტია მეცნიერებისა და ემპირიულ გამოკვლევის წინააღმდეგ. ამ პროტესტს, მეცნიერულ ანალი-

*) Коган. Зап.-Евр. Лит. III

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზისადმი ამ მძულვარებას სარჩულად უძევს იგივე, რაც იბსენის ინდივიდუალისტურ პოეზიას და მეტერლინკის დუალისტურ ფილოსოფიას აცხოველებდა. ქვეყნისაგან პიროვნების გამოყოფა, მისი და მის სუბიექტიურ წარმოდგენათა გაღმერთება—აი, ეს სარჩული.

სამყარო, როგორც რაიმე რეალური, ჰქრება; მის ადგილს იჭერს ამ სამყაროს შესახებ ჩემი წარმოდგენა. მხოლოდ ხელოვნება წარმოადგენს რეალობას, ვინაიდან ყოველივე მის-მიერ წარმოშობილი გაცილებით მაღლა სდგას ბუნების მარტივ შემოქმედებაზე. თავის სისრულეს ხელოვნება თვისშივე ეძიებს, და არა ობიექტიურ სამყაროში, რადგან იგი უფრო ზეწარია, ვინემ სარკე. „მას აქვს ყვავილები, რომელნიც არ იპოვებიან არც ერთს ტყეში; მას ყავს ფრინველნი, რომელნიც არ მოიძებნებიან არც ერთს ჭალაში. იგი ანგრევს და ხელახლად ჰქმნის ქვეყანას. მას ძალუძს მეწამულ ძაფით ზეციდან მთვარის ჩამოყვანა. მას ეკუთვნის ფორმანი, რომელნიც ცოცხალ ადამიანზე უფრო რეალური არიან. მას ეკუთვნის დიდებული არქიტიპები, რომელთა უგანონო მსგავსებას წარმოადგენს ყოველივე ის, რაც არსებობს. ხელოვნებისათვის ბუნებას არა აქვს კანონები, არა აქვს ერთფეროვანება. ხელოვნება თავის სურვილისამებრ ჰქმნის სასწაულს: მის ძახილზე წამოდგებიან უფსკრულიდან თვით საშინელებანი. იგი ზამთარშიაც შემოსავს ნუშს მწვანით, თოვლის საბანს დახურავს აბიბინებულ ყანას. მის ერთს სიტყვასთან ერთად, ყინვა თავის ვერცხლის თითებს შეახებს ივნისის ბაგეთ, და ფრთოსანი ლომები აცოცდებიან ლიდიის გორაკებზე. ოდეს ხელოვნება ტყეში დაიარება, ალები დაბურულ შტოებიდან იცქირებიან; ფავნები საოცარის ღიმილით შესცინიან, როდესაც ხელოვნება მათ მიუახლოვდება. **ხელოვნებას ყავს თავისი ღმერთები, რომელნიც მასვე სცემენ თაყვანს**“...

ეს გაბედული აზრები პარადოქსალური გამოთქმაა შემდეგის იდეისა: ხელოვნების მთავარი მიზანია დაგვანახოს ახალ შუქით შემოსილი ბუნება, შთაბეროს მას აზრი, რომელსაც ჩვენ თვით ვერ შევამჩნევდით. უაილდმა ეს იდეა უკიდურესობამდე განავითარა. იგი აშკარად ღაღადებს, რომ ბუნებაში მხოლოდ ის არის საყურადღებო, რასაც თვით ჩვენ შევძენთ მას. მხოლოდ ეს შენაძენი სცოცხლობს, როგორც რეალობა. თვით ბუნება არ არსებობს, არიან ჩვენი ფანტაზიის მიერ წარმოშობილი ხატებანი. „ბუნება სრულებით არ არის ჩვენი მშობელი დედა, იგი ჩვენი შობილია. მისი სიცოცხლე ჩვენი გონების ნაყოფია. საგნები არსებობენ იმიტომ, რომ ჩვენ მათ ვხედავთ; რას ვხედავთ და ან როგორ ვხედავთ, ყოველივე ეს დამოკიდებულია ხელოვნების ზედგავლენაზე. ხშირად ჩვენ ვუცქერით საგანს და ვერა ვხედავთ. საზოგადოთ, ადამიანი ვერ დაინახავს საგანს, ვინემ არ სცნობს მის სილამაზეს. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს ადამიანისათვის არსებობას საგანი“. უაილდის აზრით, მთელი ბუნება ხელოვნების-მიერ შექმნილია.

მაგრამ არა თუ მარტო ბუნება,— თვით ცხოვრებაც ხელოვნების შემოქმედების ნაყოფია; ცხოვრება უფრო ბაძავს ხელოვნებას, ვინემ ხელოვნება ცხოვრებას. დიდებული მხატვარი ჰქმნის ტიპს, ცხოვრება ცდილობს მხოლოდ მისი მსგავსის წარმოშობას. ბერძნებს შეთვისებული ჰქონდათ ეს ჭეშმარიტება: პატარძლის ოთახში სდგამდენ მშვენიერ ქანდაკებათ, რომელთა მსგავსი უნდა ყოფილიყო ნორჩი ჩამომავლობა. ბერძნებმა იცოდენ, რომ ცხოვრება ხელოვნებისაგან იძენს აზრის სიღრმეს, სიცხოველეს, გრძნობიერებას, სულიერ აღშფოთებას და სიმშვიდეს... თუ დააკვირდებით ლიტერატურას, დაინახავთ, თუ რა განუზომელი გავლენა აქვს სიმშვენიერეს ცხოვრებაზე პესიმიზმი ჰამლეტის მოგონილია. ნიჰილისტი, ეს გაუგებარი ურწმუნო მოწამე, ტურგენევმა შექმნა და დოსტოევსკიმ ჩამოაყალიბა. მეცხრამეტე საუკუნე თითქმის ბალზაკის-მიერ არის შექმნილი... ლიტერატურა წინ უსწრებს ცხოვრებას... ამ უკანასკნელს უჭირავს სარკე ხელოვნების წინაშე და აღბეჭდავს მხატვრის ან მოქანდაკის რომელიმე ხატებას. ცხოვრება ახორციელებს იმას, რაც ხელოვნებას ესიზმრება.

მეტის ყურადღებით რომ დავაცქერდეთ ამ გაბედულ თეორიას, შევამჩნევთ, რომ უაილდის ამ დიდებულ პარადოქსებში დამარხულია შებოჭილ პიროვნების სასოწარკვეთილი გოდება. ერთფეროვანი ცხოვრების-მიერ გათახსირებული პიროვნება ხარბათ ეწაფება ყოველსავე, რაც-კი სრულს გათავისუფლებას ჰპირდება. ეს არის მიზეზი, რომ პიროვნება ერთნაირის სასოებით შესცქერის აღვირწაშვებულ ინსტინქტის კულტსა (შტირნერი), დამოუკიდებელ სულის იდეას (მეტერლინკი) და გაღმერთებულ ფანტაზიას (უაილდი). სრული თვითგამორკვევის მძლავრი სურვილი და ცხოვრების დესპოტიზმის გამოაღშფოთება სარჩულად უდევს არა მარტო უაილდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესთეტიკას, არამედ იბსენის პოეზიასაც. ამგვარად ხელოვნება მით არის დიადი, რომ იგი ხელს უწყობს პიროვნების თვითგამორკვევას, გათავისუფლებას. უაილდის ამგვარი თვალთსაზრისი ეწინააღმდეგება იმ აზრს, ვითომც ხელოვნება თანამედროვე ეპოქის, მის მორალურ და სოციალურ პირობათა აღბეჭდვაა... „ხელოვნება არავის გამოხატავს, გარდა თავის თავისა“... ხალხი ხელოვნებაში ეძიებს თავის ჭუჭყიან ვნებათა სარკეს. ეს ასე არ უნდა იყოს. „ხელოვნება თავისუფლდება კატობრიობის სულის უღლისაგან. იგი ახალის იარაღისა და მასალის შემწეობით უფრო მეტს იძენს, ვინემ ხელოვნების-მიმართ ამა თუ იმ **ენთუზიაზმით**. ეს ახალი იარაღი და მასალა არის გაფაქიზებული ვნება და ადამიანის შეგნების დიდებული მკვდრეთით აღდგომა... ხელოვნება თვითვე ვითარდება; იგი არ არის რომელიმე საუკუნის სიმბოლო, არამედ თვით საუკუნენი არიან ხელოვნების სიმბოლონი...“

**პეტრე დადვაძე**

# სული ყვავილად ქცეული

(ნოველა)

— საყვარელო, ცელქო ნიავო! ერთხელ მაინც შესდექი და მიამბე რამე ქვეყნის ამბავი.

ერთ წუთსაც არ შეისვენებ, შეუჩერებლივ მირბიხარ, მიჰქრიხარ, მიეჩქარები; ნაზად, წყნარად, იდუმალად რაღაცას მეჩურჩულები; გრძნობით, ალერსით რაღაცას ჩამსისინებ; მე მაინც აქამდის ვერ ვისწავლე შენი ენა, ვერ შევეჩვიე შენს ჩურჩულს, შენს სისინს, მაგრამ როგორ მენატრება ერთხელ მაინც გავიგონო რამე.

შენ ალბად ისეთი საამო ხმა გექნება, ისეთი მომხიბლავი კილო შიგ ჩართული სინაზით, ტკბილ ჰანგებით, რომ მე მგონი მე არასოდეს არ დავსჭკნები, ვიდრე შენი ხმა ტკბილ ზღაპარად ყურს მესმინება. ერთხელ მაინც გამომელაპარაკე ჩემს ენაზე, ჩემ მშობლიურ ენაზე! შენ, ჩემო ნაზო! ჩემო ლაქუცავ! ყველა ენაზე შეგიძლიან ტკბილად ჩურჩული, გრძნობით ბაასი; მიამბე რამე, ნიავო! მიამბე, აგრემც შენ გენაცვალები, სურნელად დაგედინები...

ასე ეხვეწებოდა ქვეყნის მკერდზე ცელქად მოსისინე ნიავს ნაცარა ყვავილი, მწვანე მინდორზე ობლად ნაზარდი, საყორლნე ქვის ქვეშ შეფარებული.

### ნ ი ა ვ ი

— როგორ გითრთიან ფურცლები, როგორ გიკანკალებს ღერო, საწყალო ყვავილო, ობლად შთენილო, ტიალ მინდორში მიტოვებულო!

გაგახარებს სხვის ნეტარება? გაგამხიარულებს სხვის ბედნიერება?

მაშ გეტყვი, ჩემო ნაცარავ, ჩემო აზიზო, ობოლო ყვავილო, თუ ვით შემიყვარდა ერთი ვინმე ტურფა ასული.

დღეს, როცა მზის სხივები ჯერ მიწას არა ჰლირსებოდენ, მხოლოდ ზეცას ელერსებოდენ, როცა შენ ჯერ ისევ დილის ნამ ქვეშ თავდახრილი გეძინებოდა, მე მხიარულად, თავისუფლად მოვქროლავდი ჩაძინებული ზღვიდან, თან მომქონდა მისი ზღაპრები, მისი სიზმრები, ჭაბუკთა გულში ჩასანერგავად, მათ გრძნობათა ასაღელვებლად.

როცა მოვაღწიე აიგერ, აიმ შორს მდებარე დაბას, უდარდელად შემოვუქროლე ხეებს, თავისუფლად შევიჭერ ჯუჯრუტანებში, ფანჯრებში და, აი, ერთ ფანჯარაში ვიხილე იგი, ვინც შემიყვარდა, ვინც მომხიბლა, მომაჯადოვა.

იდგა ჩაფიქრებული, გაშტერებული. სიწყნარე ზღვისა მის სახეში ჩანერგილიყო, სიმკრთალე ცისა იმის სახეს ზედ მოჰფენოდა.

თვისი სიწყნარით, თვისი სიმკრთალით, იცი, ნაცარავ, ჩემი სატრფო შენ დაგადარე!

რასა ფიქრობდა?—ჩემთან ერთად ჰნატრობდა იგი შორ გაქროლვას ოცნების მხარეს; ელერსებოდა უჩინარ მიჯნურს, შესჩერებოდა მის უხილავ სახეს; თუ თავისი მშვენებით იდუმალად მომამაყე იდუმალ გრძნობით ეუბნებოდა ამომავალ მზეს, ნუ ამოხვალო, რადგან ქვეყანას იგიც კარგად გაუწევდა მის მაგივრობას.

ან იქნებ მიმქრალ სამი კვირის მთვარეს ევედრებოდა სულ ჩასულიყო, რადგან ქვეყნისთვის მის მშვენება იქნებოდა უკეთეს მთვარედ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე არ შემიძლიან ვით ადამის ძეთ დიდ ხანს შორიდან აღტაცება. მე მაშინათვე თავდაუჭერელად მოვეხვიე მის თმებს, მის სახეს, მის სიწყნარეს, მშვენიერებას; მკერდშიც ჩავეკარ, გულშიც ჩავსწვდი ვით სატრფოს გრძნობა და იგიც შეკრთა ვით უმანკო, ხელუხლებელი და იცი, ნაცარავ! უცნაური მსგავსება ვნახე შენს და მას შორის: სწორედ შენც ისე შეკრთები ხოლმე, როცა პირველად შემოგიბერავ და დილის ნამსა, ვით ობოლ ცრემლებს, ძირს გაღვრევინებ დედამიწაზე.

მისი სიწყნარე, მისი სიმკრთალე, მისი შეკრთომა და ნაზი სუნთქვა გულში ჩავიკარ, თან წამოვიღე, მისით ვამღერებ მთასა და ბარსა, მით ვაშრიალებ ბალახებს, ხეებს. ხან ნეტარ ნანად ვუმღერებ ძილში, ხან-კი ზღაპრებად მოვუთხრობ ტკბილად.

ნელი ნიავის გრძნობით ბაასი თავისი სატრფოს სილამაზეზე, რომელსა ყვავილს, რომელსა ბალახს ის არ მოჰხიბლავს, მოაჯადოვებს? რომელი ხენი, რომელი კლდენი არ მოისმენენ ოცნებით ბაასს!

ყველას მოვუთხრობ, ყველას ვუმღერებ, ყველა მომისმენს, ყველა დასტკბება.

### ნ ა ც ა რ ა

— კარგი, ნიავო, კარგი, მაკმარე ესოდენ ტანჯვა და ნეტარება...

ჩემი სატრფოა ის უცხო არსი, ეგრე მძლავრად რო შეგყვარებია.

### ნ ი ა ვ ი

— დაჩაგრულო, საწყალო ნაცარავ, შენ სად იხილე მისი მშვენება?

### ნ ა ც ა რ ა

— ოჰ, ნიავო, ნიავო! თუ ყურის გდებაც ისე კარგად იცი, ვით ზღაპრის თხრობა, მაშ მომისმინე, მომისმინე დაჩაგრულ ყვავილს.

სულაც არ არის დიდი ხანი მას შემდეგ, რაც ქვეყნად ცხოვრობდა ერთი ჭაბუკი. სულაც არ უცხოვრია დიდხანს. მას ისე უყვარდა სიცოცხლე, ვით შენ—სიცელქე; ისე ეჯავრებოდა სიკვდილი, ვით შენ სიჩუმე. სიკვდილმა მაინც არ შეიბრალა. უდროვოდ მოსტაცა იგი სიცოცხლეს, თვითონ ჩაიკრა მკერდში მხურვალედ და მოაბარა მიწას სალხენად.

მისი ხორცი და ძვლები მიწამ აქცია ისევ მიწად, მისი სული-კი, აი, ყვავილად ამოველი, ობოლ ყვავილად.

მე ვარ სული ჭაბუკისა, მე ვარ თვით ჭაბუკი.

ყური მიგდევი! მეც მოგითხრობ, თუ ვით მიყვარდა ის ტურფა არსი, შენ რომ მოგხიბლა.

მეც არ ვიცი პირველად როგორ შემიყვარდა, სიზმარში ნახული, თუ—ცხადივ ნანახი, მხოლოდ ვიცი, როცა პირველად შევხედე მის სახეს, მაშინ უკვე მიყვარდა იგი თავდავიწყებით, გატაცებით, ვითა ფარვანას—სანთელი ბნელში. მიყვარდა ის სახე, რომელიც თითქოს შექმნილი იყო ხალხის ლოცვით, მიჯნურთა სიყვარულით, ჭაბუკთა ოცნებით და ჩვილთა უმანკოებით.

ამის შემდეგ მე ვარსებობდი მხოლოდ იმ სიყვარულით.

ჩემი მზის ამოსულიდან ჩემ სიყვარულის განთიადამდის, რაც სილამაზე და მხიბლავი მენახა რამე, სულ მის სახეში გადავრგევი, იქ ავაყვავე...

თუ სადმე გამეგო ტკბილი ჰანგი, ან ჩანგით თხზული, ან ბულბულისგან ნასტვენი, ან ტყეში ნასმენი, ზღვაზე ნაჩქეფი, შენი სინაზით ნაჩურჩულები, ყველა გავგზავნე ჩემ სატრფოს გულში, იქ ავაჟღერე.

რაც სიცოცხლეში მე მქონია ნატვრა საამო, ოცნება ტკბილი ცხოვრებაში გამოუცდელობით შეთხზული, თავდაუჭერელი წყურვილით მინაწდომი, ძლიერ გრძნობებით აღმოცენილი, სულ ყველა იმას მოვახვიე ნაზად გარშემო და თვით იგივე თვის შეუმჩნევლად, თვის უნებურად ლამაზდებოდა ჩემის ოცნებით.

ჩემთვის აღარ არსებობდა ცაზე მზე, მთვარე და ვარსკვლავები... ჩემი მზე და მთვარე ამოდიოდენ მაშინ, როს ვიხილავდი იმის სახეს; ვარსკვლავები აინთებოდენ, როს შემომხედდენ მისი თვალები.

ტანჯვით და სიხარულით, ცრემლით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცილით მე მარად მას ვუმღერდი, მას შევხაროდი, მისთვის ვიკვნესდი.

ოჰ, ნიავო, ცელქო ნიავო, როგორ მიყვარდა! ჩემი სიყვარულით სხვასაც შევაყვარე მისი მშვენება. ჩემის აღტაცებით სხვაც მომყავდა აღტაცებაში მის სილამაზით, ჩემის აღელვებით სხვასაც ვუღელვებდი გულს მის დანახვაზე. მე იმის მნახველთ ყველას ვასწავლე მის დაფასება, მის სიყვარული. ჩემი სიყვარულით თვით მას, ტურფასაც, ავუხილე თვისი თვალები და დავანახვე თავის მშვენება და წარმტაცობა. ჩემი მოხიბლვით მასაც ვასწავლე დაფასება თვის მხიბლაობის. ჩემის აღტაცებით მასაც ვასწავლე სიამაყე თვის სილამაზით.

იგი გავამდიდრე მე, გავამდიდრებინე სხვისაც.

იგი ამაყობდა ამ სიმდიდრით. ამაყობდა ჩემ წინ, ამაყობდა ყველას წინ.

სიყვარულში, აღტაცებაში, ჩემ ტანჯვაში და ცრემლთა ღვრაში, მეც ვერ გავიგე, თუ სიკვდილი ვით მომეპარა და სიცოცხლეს სამუდამოდ გამომასალმა.

აქ დავიმარხე. აქ იქცენ მიწად ჭაბუკის ძვლები, და სული-კი, აი, ღელვით გებასება.

არ მინდოდა, რომ სიკვდილის შემდეგაც არაფერი სიამე არ მიმეძლვნა ჩემ სატრფოსათვის. საწყალ ყვავილად ამოვედი და ველოდები, იქნებ ოდესმე გამოიაროს ამ მინდორველზე, იქნებ მომწყვიტოს და ამითი სამარადისოდ გავქრე მის ხელში,

მე არ მინდა ან სიცივემ გამაქკნოს, ან —სიცხემ, მე მინდა სატრფოს ხელშივე დავსჭკნე, ვუფრთხილდები ჩემ თავს: როცა ცივა ან ძალიან ცხელა, ფრთხილად შევიკუმშები ხოლმე ამ ქვის ღაბლობში და იქიდან ველოდები გამოდარებას და აგრილებას. მხოლოდ როცა ვიგრძნობ ხოლმე შენს მოახლოვებას, მაშინ გამოვყოფ თამამად თავს და ვიფურჩქნები.

მაგრამ ზამთარი ჩქარა დადგება და ვაი, თუ სამუდამოდ გავსჭკნე მე მაშინ. ველარ ვიხილავ მე ჩემ სატრფოს, ვერ ველირსები მის სიკვდილს, ვერ ვეყნოსები უკანასკნელად.

მზის ყოველ ამოსვლასა და ჩასვლაზე მე მარად ველოდები მას მოუთმენლად, მაგრამ არა სჩანს, არა სჩანს....

## ნ ი ა ვ ი

— ნაზო ყვავილო! საწყალო ნაცარავ! ვით დატანჯულხარ, ვით იტანჯები!...

მაშ მეც იმიტომ შემყვარებია ის შენი სატრფო, რომ შენ გიყვარდა. მე შენც მიყვარხარ. მე მიყვარს შენი სიყვარულიც შენ სატრფოსადმი.

მე მოვაქროლებ აქ შენს ოცნებას, მე დაგანახვებ შენ სატრფოს სახეს, თუ კი ამითი შენ გაიხარებ.

## ნ ა ც ა რ ა

— გმადლობ ნიავო! რა ნაზი ხარ, მგრძნობიერი, მოსიყვარულე.

ოჰ, რომ შესძლებდე შენ ჩემ სატრფოს აქეთ მოყვანას, მაგ სიკეთეს თვით უკვდავებაც დაიხსომებდა სამარადისოდ.

როგორ მენატრება სატრფოს ხელით მოწყვეტა! როგორ მენატრება მის მკერდზე დაჭკნობა!...

ოჰ, ნიავო, ცელქო ნიავო, შემისრულე დანაპირები! გეხვეწები. . გემუდარები!...

თანაგრძნობის ნიშნად ლაქუცით შეაშრიალა ნიავმა ყვავილის ნაზი ფურცლები და გაჰქროლა სხვა მხარეს.

---

ათასჯერ გამოიცვალა მხარე მოუსვენარმა ნიავმა. იგი ხან ერთ გვერდიდან შემოჰქროლავდა, ხან მეორედან, რომ სასეირნოდ გამოსულნი ასულნი, რომელთა შორისაც იყო ნაცარას სატრფოც, რამე ნაირად მოეყვანა აღნიშნულ ადგილს.

როცა იგინი ზურგს შეაქცევდენ ყვავილის მხარეს, მაშინ ნიავი მათ პირ-ქარად გადექცეოდა. როცა იგინი იბრუნებდენ პირს ყვავილისკენ, მაშინ-კა უსაზღვრო ლაქუცით ზურგიდან დაჰბეროდა; სინაზით, სისინით იმათ წინ მოჰქროლდა, ბალახებს აწვენდა, აშრიალებდა; ტურფა ასულთ, მის შეყვარებულის ყვავილისაკენ მოიწოდებდა.

თითქოს იდუმლად მიხვდენ ასულნი ნიავის მიზანს, თითქოს გაიგეს მის მოწოდება

ეროვნული ბიბლიოთეკა



და უსიტყვოდ, უნებურად დაემორჩილენ იმის წყნარ ქროლას.

მიუახლოვდენ.

თითქოს ტურფამ იგრძნო რაღაც დაღალულობა. მან დაინახა საყოვლნე ქვა ტრიალ მინდორზე და გაეშურა წამს იმისკენ დასასვენებლად.

მივიდა ტურფა, ჩამოჯდა ქვაზე და თავისუფლად ამოისუნთქა.

რა დაინახა ყვავილმა თავისი სატრფო, ათრთოლდა სიხარულით, აკანკალდა ნეტ რებით, ქვის ქვეშიდან მოუთმენელად გამოჰყო თავი; გადიშალა, გადიფურჩქნა მოულოდნელად და თან საამო სურნელება მოჰფინა მინდორს.

ტურფამ შეჰყნოსა ყვავილის სუნთქვა, მოიხიბლა, მოეწონა და მიიხედ-მოიხედა, რომ ენახა რა ჰყვაოდა.

დაინახა ნაცარა ყვავილი, ამაყურად თავ-აშვერილი, სიხარულით გადაფოთლილი დასწვდა ღიმილით, მოსწყვიტა ნაზად, დაჰყნოსა ტკბილად და სიფრთხილით მკერდს და მიგრა.

ნიავმა სიხარულის ნიშნად ერთი შეითამაშა ცელქად თავისუფალ ველზე.

ყვავილმა უკანასკნელი ამოსუნთქვასავით ერთხელ კიდევ გაშალა ფოთოლნი სიხარულით და შემდეგ დაიწყო მისი ჭკნობა, მისი სიკვდილი სატრფოს ნაზ მკერდზე.

სჭკნებოდა ყვავილი, იმის ქვეშ-კი წყნარად სცემდა სატრფოს გული სიცოცხლისთვის გამზადებული.

ნიავი-კი თავისუფლად დასეირნობდა; დაჰხაროდა ყვავილის სიკვდილს და სატრფოსას— სიცოცხლეს, ღიმილს...

**ლევ. მეტრეველი**

## უ ი მ ე დ ო

ბედმა მიმუხთლა, საბრალოს,  
სულსა მიხუთავს, მაღონებს,  
უწმინდეს გრძნობებს გულს მიკლავს  
და მაღვრევინებს მწარ ცრემლებს..

სიცოცხლის კარი დამიხშო,  
ცხოვრების მუხრუჭს მიჭირებს,  
„იქ“, არის შენი ბინაო—  
ცივ სამარისკენ მითითებს!..

**იმერელი ქალი**

# საღამო იყო...

(ეტიუდი)

საღამო იყო, სახლში ვიჯექ დაღონებული!..

ათასი ფიქრი თავს მეხვეოდა, წყარო საზრდოსი, დღიური ზრუნვა გულს მიშფოთებდა, აზრებს მირევდა...

უცებ მომესმა მხიარული, ტკბილ—ჰანგიანი ვალსისა ხმა!....

ჩემი ფიქრები დადუმდენ!.. სევდის ბრჭყალებიც დაოსდენ და გულს მოეშვენ!...

ძარღვებში სისხლმა დამიწყო ჩქეფა!.. სმენად ვიქეცი!..

ვიწრო ფარგლიდან გამოვფრინდი... ღიმილმა მიწყო ბედშავს თამაში... ფრთები შემესხა, ავფრინდი... მომწყურდა რაღაც უმაღლესი, ნეტარი წმინდა, სიხარულით სავსე ლამაზი!..

აღფრთოვანებით მივფრინავდი სულ მაღლა, მაღლა!..

ვიგრძენ ოთახის სივიწროვე, მომინდა ფართო შლილი ადგილი...

მარდად ჩავიცვი, მთაზედ ავვარდი!.. იქ ვიწყე ფრენა მაღალ აზრებში და თავისუფლად ამოვისუნთქე!..

დაღამდა, მეცა ჩამოვფრინდი... დედა-მიწა ვიგრძენ ფეხის ქვეშ და... ოცნების შემდეგ გულმაც მიწყო მწარედ ტკივილი!..

ოხ, რა მოკლე იყო ეს ტკბილი ოცნება!.. სევდიანად გადავავლე თვალი ქალაქსა და დავინახე განაპირა უბნები, სიბნელით მოცული!.. აქა-იქ ოდნავ ბჟუტავდენ ფანრები! იქ არა იყო-რამ მოძრაობა!.. მშრომელთ, ბედ-შავ მუშათ მისძინებოდათ დღიურ ჯაფის შემდეგ!....

შუა გულში-კი ელექტრონის სინათლეზე, საფარებიდან გამოცოცებულიყვენ და განცხრომას ერთად თავ-დავიწყებით მისცემოდენ ობობანი, გველ-ბაყაყნი, ჯოჯონი, ღამურა ჩიტნი და პეპელანი!.

რა უმგზავსად დასცოცავდენ წყვდიად ღამეში! ძირს დავეშვი!... და კვლავ გულზე სევდა დამაწვა!...

**გიორგი ფოცხოველი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დრამატიულ გამგეობის წევრი

ვოდ. 2 ქოქ. ივ. გომართელისა

(გაგრძელება. იხილე „თეატ. და ცხოვ." № 11, 12)

## III

## პეტრე და ლოთი

**ლოთი.** (ხელს ართმევს)

**პეტ.** დაბძანდით. (ლოთი ჯდება) რა საქმე გაქვსთ ჩემთან?

**ლოთი.** მე ერთი მარტოხელა კაცი ვარ, აი ესე, როგორც მიყურებ. ჩემი დღეები. ქეიფსა და ლოთობაში გამიტარებია, ერთი დღე არ მახსოვს, ფხიზელი ვყოფილვიყავი.

**პეტ.** ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ახლა რა გნებავთ?

**ლოთი.** რა მნებავს? ისა, რომ მომბეზრდა ასე ხეტიალი და საქმე მინდა გავიჩინო, მაგრამ სად მიმიღებენ მე ახლა, და კიდეც რომ მიმიღონ, რა უნდა გავაკეთო? ჩემი ხელობა ლოთობაა, კრივი და სიმღერა. ჰოდა გავიგე, რომ თქვენ დრამატიულ საზოგადოებაში— ფრანციცული სიტყვაა და არ მესმის—შებძანებულხართ და გთხოვთ არტისტად მიმიღოთ. მე სწორედ არტისტად ვარ დაბადებული. ზურნა, დუდუკი, არღანი, ქეიფი, ლოთობა, მუშტი, არშიყობა, ეს სულ ჩემი მოგონილია და არტისტს სხვა რა უნდა. ვაი დედასა, სცენაზე რო ლოთსა თამაშობენ ხოლმე და ღვინო კი კაპლი არ დაულევიათ, აბა ის რა თამაშია? მე რომ მართლა ჩავითვრები და ისე გამოვალ, აბა მაშინ უნდა უყუროთ, ისეთ რამეებს ვიტყვი, რომ მთელი ხალხი სიცილით მუცლებს დაიფხრიწავს. .

**პეტ.** თქვენ სცენაზე არ მიგიღებენ, ერთი იმიტომ, რომ თქვენივე სიტყვით ლოთი ჰყოფილხართ. ლოთი არტისტი სცენისათვის არ გამოდგება...

**ლოთი.** (გააწყვეტინებს) ეეე! რას ამბობთ, რასა, როგორ არ გამოდგება, როცა მე ყოველდღე არტისტებთან ვქეიფობ ხოლმე, ისე ჩამბალან, რომ გათენებამდე სტოლ ქვეშ უგორავნიათ. მოდი ერთი გაკოცო... მე მეჯიბრებიან და აბა იმდენი დალევის თავი სადა აქვ ; ჩემ ძარღვებში სისხლის მაგიერ ღვინოა.

**პეტ.** ეგეც რომ არ იყოს, თქვენ ხნიერი ხართ და რაღა დროს თქვენი არტისტობაა.

**ლოთი.** ეე, ხნიერი რომელია?!. მაშ არ მიმიღებ?

**პეტ.** (გულმოსული) გთხოვთ აქედან გაბძანდეთ.

**ლოთი.** ვა, რას ცხარობ, ერთი მამა გიცხონდება. არ გინდათ?

**პეტ.** არ მინდა.

**ლოთი.** ამ ჩემ ფეხებს, თუ არ გინდათ, წავალ. (გადის)

(ცოტა ხნის შემდეგ შემოვა ხანში შესული, **სახემონაოჭკებული ქალი** და პეტრეს თავს უკრავს)

## IV

## პეტრე და ქალი.

**პეტ.** (თავისთვის) ნამდვილად ამასაც არტისტობა უნდა. (ხელს ჩამოართმევს) დაბრძანდით, რაგნებავთ? სასამართლოში გაქვთ საქმე?

**ქალი.** სასამართლო სად არის, არც კი ვიცი. უნდა მოგახსენოთ, რომ მე სცენა ძალიან მიყვარს.

**პეტ.** (თავისთვის) ღმერთო ჩემო, ამა'აც სცენაზე შესვლა მოსურვებია.

**ქალი.** (განაგრძობს) სამოცდაათ წელს მე რამდენჯერმე კიდეც ვითამაშე. ახლა რომ ჩვენ სცენას ვუყურებ—გული მისკდება. არც ერთი დარბაისელი, დინჯი ქალი, არც ერთი გრანდამი თქვენ არა გყავთ. სულ გამოუცდელი, უსუსური გომბიოები გყავთ. აი მე მიმიღეთ სცენაზე და ნამდვილი გრანდამა ვიქნები.

**პეტ.** თქვენ გითამაშნიათ სამოც და ათ წელში. მას აქეთ აგერ ნახევარი საუკუნე გადის და რაღა დროს თქვენი სცენაზე შესვლაა. მე თქვენ გირჩევთ ახლა დაბძანდეთ და სცენის ისტორია დასწეროთ ამ ხნის განმავლობაში.

**ქალი.** (წამოდგება) თქვენ დიდი გაუზდელი და ბრიყვი ყოფილხართ სწორედ, როდესაც ქალს შეურაცყოფას მაყენებთ. მე იმას მოვნახამ, ვინც უფრო დააფასებს ჩემს ნიჭსა და ღირსებას და ათასიც რომ ეცადოთ, სამშობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო სცენის კარებს თქვენ ვერ დამიხშობთ!
(**გადის.** შემოდის ახალგაზრდა ემაწვილი **ბლუ** და თავს უკრავს)

## V

## პეტრე და ბლუ

**პეტ.** (**ხელს ართმევს**) დაბძანდით (ბლუ თავს უკრავს და **დაჯდება**) რა საქმე გაქვსთ ჩემთან?

**ბლუ.** (ტუჩებს აცმაცუნებს, ცხვირის ნესტოებს და თვალებს ათამაშებს, ქუდს სრესავს ხელში რამდენიმე ხანს) მ... მ... მ... მე, გ... გ... გ... იიი... ააა... ხ... ხ... ხელით... დდდ... აა... მმმე-ხმა-როთ ერთ სსს... ააა... ქქქ.. მეში.

**პეტ.** (თავისთვის) ამას ნამდვილად სასამართლოში აქვს საქმე. (**მაგიდას მოუჯდება, კალამს აიღებს**) თქვენი სახელი და გვარი?

**ბლუ.** ჩჩჩ... ეეე... მი სსს... ხელთ ა... და გგვ... ვარი ჯჯჯჯ... ჯიმშერ ყყყ... ყყყა... ყყყალ... უყყალ... ყუმი... ყალყუუ...

**პეტ.** (**სწერს ქაღალდზე და იმეორებს ხმა მაღლა**) ჯიმშერ ყალყუმიშვილი. რაში მდგომარეობს თქვენი საქმე?

**ბლუ.** მმმ... მე... მიიინდა აააარრრტტტ... რუტუტუ... არრ... ტტტ .. ტის... ტისტობა.

**პეტ.** (**წამოხტება და თვალებს იფშვნეტს**) არა, სიზმარში ვარ თუ ცხადში; თუ ცხადში ვარ, ე ხალხი გადირია, თუ მე დამცინიან. (ბლუს) იმისთანა პიესები მე არ მეგულება, რომელშიაც სათქვენო როლი იყოს.

**ბლუ.** რრრ... რომელ... ლო... ლო .. ლო... როლიც გნებავთ ვი... ვიი... ვიი... თთთთ... ააა... მაშებ.

**პეტ.** ახირებულია, შენმა მზემ, როგორ ითამაშებთ, როცა ერთ სიტყვას ერთ ვერსზე აპიანურებთ.

**ბლუ.** სსს... წოოოო... რეთ ძძძა... ააა .. ლიან გგგ... ეეეხ... ვეეე... წებით.

**პეტ.** თქვენი ხვეწნა ახირებულია, თქვენ ისეთი ნაწლი გაქვთ, რომ არტისტობა თქვენთვის ყოვლად შეუძლებელია.

**ბლუ.** გგგ... ააა... მააა... მამცადეთ.

**პეტ.** რა გამოცდა გინდათ, ბატონო! შეიძლება ძალიან კარგი ნიჭიც გქონდეთ, მაგრამ ენა არა გაქვთ.

**ბლუ.** რრრო....რრრო....გორ ააარ მააქვს ეეენა. (ენას გამოჰყოფს)

**პეტ.** (იცინის) პირში ენა კი გაქვთ, მაგრამ თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს, ლაპარაკს ვერ ახერხებთ, ენა გებმებათ ძალიან.

**ბლუ.** რრრ... ოოო.... ლებს დდდ...ევე ...ვიხეეე...პირეებ ძძძააა...ლიან და ააა...ალარ დდდააა...დამეეებ... ებმება ეეე...ნნნა.

**პეტ.** ათასი გაიხეპიროთ, მაინც არა იქნება-რა და უმჯობესია განდევნოთ ის აზრი, ვითომ თქვენ არტისტობა შეგეძლოთ.

**ბლუ.** მმმ...ააამ ააარ მიმიღებთ?

**პეტ.** თქვენ თითონ დაუკვირდით თქვენს თავს, განა შეგიძლიათ არტისტობა?

**ბლუ.** შშშ ...ეეე...ემიძლია. (**გაჯავრებული**) ნააა...მეეე...ქნარი გგგ...გულ ქქქვაი ყყყ... ყოოო...ოფილხარო. (გადის)

**პეტ.** (ხელებს აღაპყრობს) ღმერთო ჩემო, ე რა ხათაბალას გადავეკიდე!

(შემოდის **მამა** და შემოჰყავს 17-18 წლის **ვაჟი**)

## VI

## პეტრე, მამა და ვაჟი (უსიტყვოთ)

**მამა.** დილა მშვიდობისა (**ხელს ართმევს პეტრეს**) სოლომონ მამრადაშვილი გახლავართ. ეს კიდევ ჩემი შვილია. ერთი სათხოვარი მაქვს.

**პეტ.** ბძანეთ.

**მამა.** უნდა გამოტეხილი გითხრათ, რომ ამ ჩემ შვილს თავის წონა ფული დავახარჯე. რეპეტიტორები ცალკე ვუქირავე, მასწავლებლები ცალკე, მარა არ იქნა და არა, ამის ტვინში არა ჩავიდა-რა: თითო კლასში სამ-სამი წელიწადი იჯდა. ერთგან შევიყვანე—გამომიგდეს, მეორეში შევიყვანე, იქიდანაც გამოაგდეს. ყველა ამას მეუბნება, უნიჭოა და სწავლა არ შეუძლიან. ჯანაბას ამისი თავი-მეთქი, ვიფიქრე: ყველა ხომ ნასწავლი არ იქნება-მეთქი და ჩემთან დავაყენე. მიკიტანი გახლავართ. თუ პატარა წამეძინებოდა ან გავიდოდი სადმე, ეს ურჯულო და ურწმუნო, ეს ღვთისაგან შეჩვენებული მიეპარებოდა რუმბს და ხარი როგორ დალევს იმდენ წყალს, ეს რომ ღვინოს დალევდა. სწავლაში ამან არ ივარგა, ვაჭრობაში ამან არ ივარგა, არასფერში არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივარგა და ამიტომ გადავწყვიტე არტისტი გამოვიდეს.

**პეტ.** (თავისთვის) ე რა მდგომარეობაში ჩავვარდი, ეს რა ჭირი დავიტეხე თავზე! (იმას) გადავწყვიტე, გადავწყვიტე, მერე რა გინდათ ჩემგან?

**მამა.** როგორ თუ რა მინდა? თქვენ თეატრი შეგიდგენიათ და გთხოვთ, ჩემი შვილიც იქ ჩასწეროთ და მიიღოთ.

**პეტ.** ვსთქვათ მივიღეთ კიდეც, მაგრამ თუ არსად ივარგა, რაღა არტისტად ივარგებს? იქ კი ნიჭი არ არის საჭირო?

**მამა.** შე დალოცვილო, ხამი ხომ არა ვართ. მადლობა ღმერთს ცოტ-ცოტა ყველა ხელობისა მესმის. თეატრიც ვიცი, ცირკიც. არტისტი უნდა იყოს მსმელი, ყბედი, მოქეიფე და მოარშიყე... აბა ეს ყველაფერი ამას მოჰკითხე: (შვილზე უთითებს) სმა და ქეიფი, ღმერთმაც კაი მოგცეს, კარგად ამან იცოდეს. ღვინოში ამოუდის სული. ნეტავი ვის გამოეგვანა! მაშა მაშ ნაც ჰყავდეს ლოთი ან ბიძა, ან ბაბუა. ყბედობა, ბატონო: აქ არის გაჩუმებული, თორემ სახლში მთელი დღე ლაპარაკობს და დარბის ძაღლის ყბა გაჩერდება და ამის ყბა-კი არ გაჩერდება. არშიყობა კიდევ, ბატონო რაღა დავმალო თქვენთან და მეზობლის ქალები გადამირია სულ. ლამის მდგმურები გამექცენ. თამამად შემიძლიან გითხრათ, რომ ამისთანა არტისტს შუადღისას სანთლით ვერ მონახავთ.

**პეტ.** თხოვნა შემოიტანოს და გამოცდიან, თუ გამოდგება მიიღებენ?

**მამა.** აკი მოგახსენეთ არტისტად არის დაბადებული. მშვიდობით. (ხელს ართმევენ ორივენი და გადიან)

**პეტ.** (ოთახში დადის) ღმერთო, ეს რა ჭირს გადავეკიდე. (შემოდის ჩასუქებული **სირაჯი**)

## VII

### პეტრე და სირაჯი

**სირ.** (თავს უკრავს) კნიაზს გაუმარჯოს!

**პეტ.** (თავს უკრავს და ხელს არ ართმევს) რა გნებავთ?

**სირ.** თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს.

**პეტ.** ამასაც არტისტობა უნდა უსათუოდ. (სირაჯს) თუ ღმერთი გწამთ აქედან წაბძანდით.

**სირ.** ვაა! ეგრე როგორ იქნება. ერთი მომ სმინე რას ვამბობ დაა.

**პეტ.** რა მოგისმინო, წინდაწინვე ვიცი რომ არტისტობა...

**სირ.** (გააწყვეტინებს) ჰოო!..

**პეტ.** ჰოდა მიბძანდით, თუ შეიძლებოდეს, მიბძანდით.

**სირ.** (თავისთვის) ვაა, ნამდვილად იმ არამზადებს მოუქრთამავთ, იმ შობელძაღლებმა საიდან გაიგეს, რომ მე აქ მოვდიოდი. (პეტრეს) მერე რა უნდა გაიგოთ, საქმე რაშია?

**პეტ.** რა გაგება უნდა, მეთქი როცა თქვენ თითონ იძახით არტისტობა მინდაო.

**სირ.** ვაა! არტისტებიც ღმერთმა დასწყევლოს და იმათი მომგონიცა! კნიაზ არა გცოდნია, მომისმინე დაა. მე ერთი სირაჯი ვარ, ეს ერთი წელიწადია არტისტები შემომეჩვივნენ. დღე ერთი არის და ისინი ათჯერ ქეიფობდენ. ხან ერთი იძახდა ჩემზე დაწერეო, ხან მეორე, ხან მესამე. ვხედავ რომ წელიწადი გადის და არაფერს კი არ მაძლევენ. ნისია გაიზარდა. ერთ დღეს, როცა საქეიფოდ მოვიდნენ, მე ვუთხარი: არა, ჩემო ძმაო რაც იქეიფეთ ნისიად, კმარა. ჯერ ძველი გამისწორეთ, მერე ისევ დაიწყეთ ქეიფი მეთქი. მოშორდი ერთიო, მითხრეს და გაჯავრდენ, რამდენჯერაც არ ვთხოვე—არა გვაქვს და არ გაძლევთო, წადი და გვიჩივლეო. აბა ულვაშებს რომ კაცი მოიპარსავს, იმას სინდისი საიდან უნდა მოვკითხოთ. ახლა გავიგე რომ არტისტების უსტაბაში თქვენა ჰყოფილხართ და გთხოვთ ჩემი ნისია დამიბრუნოთ, აი სჩოთი. (ჯიბიდან ქაღალდებს იღებს და აწვდის)

**პეტ.** (არ ართმევს) თუ არტისტებს რამე მმართებთ თქვენი და არ გაძლევენ, მაგისათვის სასამართლოა. წადით და იჩივლეთ.

**სირ.** ვაა, მე ხომ ტყვილათ არ გაგრჯით. ოცდახუთიანიც თქვენი ხელფასი იყოს,..

**პეტ.** (გულმოსული) მე გთხოვთ აქედან მიბრძანდეთ.

**სირ.** ვაა, მივბრძანდე რომელია. არ გინდით და წავალ. (მიდის და გამობრუნდება) აბა ძაღლი ძაღლის ძვალს გასტეხს? (გადის. შემოდის **პირველი პოეტი** და მედიდურად თავს უკრავს)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VIII

### პეტრე და პირველი პოეტი

**პეტ.** რა გნებავთ?

1 **პოეტი.** მე წარვუდგინე დრამატიულ საზოგადოების გამგეობას ორი ახალი პიესა, პირველი ტრაგედია იყო „დაფლეთილი გული“ მეორე კი დრამა „დაჟეჟილი სული“ და ვთხოვდი, მალე განეხილათ, თუმცა დიდი განხილვა არც ერთს არ უნდოდა, რადგანაც ორივე შესანიშნავი რამ არის და სრულებით ახალ მიმართულებას აარსებს ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში.

**პეტ.** დრამატიულმა გამგეობამ ორივე თქვენი პიესა განიხილა და არც ერთი არ მოიწონა, პირველი იმიტომ, რომ ის ტრაგედია კი არა, უშნო მოთხრობაა, მეორე კი— დრამა კი არა, უთავბოლო მუსაიფია.

1 **პოეტი.** (**ზიზღით მისჩერებია რამდენსამე ხანს**) მებრალებით, მეცოდებით; თუ თქვენ ჩემი ტრაგედია და დრამა ვერ დააფასეთ, თუ თქვენ ვერ შეიგნეთ მათი მშვენიერებანი, თუ თქვენ ვერ მიხვდით, რომ პირველი გამოხატავს სიმბოლოს მსოფლიო მწუხარებისას და მეორე კი სიმბოლოს მსოფლიო სიყვარულისას, თქვენ სრულებით ბრიყვნი, განუვითარებელნი და მხეცნი ჰყოფილხართ. ახლა კი ვხედავ, კარგათა ვხედავ, ვისთვისაც მიმიცია დასაფასებლად ჩემი მარგალიტები, საუნჯე ჩვენი ლიტერატურისა. (**დინჯად მობრუნდება, იმაზე ხელს კიდისვამს და გადის.**)

**პეტ.** საკვირველია, როგორ დაჩიავდა ხალხი. დასწერენ უხეირო მოთხრობას, დაწერენ ზედ დრამას და თავი შექსპირი ჰგონიათ. (კარი გაიღება, შემოდის **მარო**)

## IX

### პეტრე და მარო

**პეტ.** აა! ქალბატონ მაროს ვახლავართ! (**ხელს ართმევს**) დაბრძანდით, როგორ ბრძანდებით?

**მარო.** (**სულ გაკაპასებული ლაპარაკობს**) ისე ვბძანდები, რო მგონია სულ კბილით დავგილჯოთ ყველა.

**პეტ.** არა ერთი რას გეერჩით, განა რა დაგიშავეთ?

**მარო.** როგორ თუ რა დამიშავეთ? არა იმ წუპაკს, იმ მატრაკვეცას, იმ ქალა-ბიჭას, იმ გონჯს, ერთი თვალი რომ ბაქოსკენ გაურბის და მეორე ბათუმისაკენ და ცხვირი კი სპილოს ხორთუმს მიუგავს, იმას ცხრა თუმანი და მე ათი თუმანი? არა ერთი თქვენ მითხარით, იმას ცხრა და მე ათი?

**პეტ.** ვის ამკობთ ასე?

**მარო.** ვისა და კატო სიორელია თუ ნიორელი.

**პეტ.** ეს კითხვა..

**მარო.** (**გააწყვეტინებს**) აბა ერთი ეს მითხარით, იმას ცხრა და მე ათი?

**პეტ.** გამგეობამ.....

**მარო.** (**გააწყვეტინებს**) არა, იმას ცხრა და მე ათი?

**პეტ.** თუ მომისმენთ...

**მარო.** არასფერსაც არ მოგისმენთ. ერთი ეს მითხარით, იმას ცხრა და მე ათი? არა სადლა უნდა გამოვყო თავი?სად გავამხილო? იმ გონჯს ცხრა თუმანი და მე ათი? არა ერთი თუმნით, მარტო ერთი თუმნით მამჯობინეთ მე იმ გონჯს, იმასა? მე ხომ იმას არ ვამბობ, რატომ ოცი თუმანი არ დამინიშნეთ მეთქი, მაგრამ, როდესაც მე ათს მინიშნავდით, იმისთვის ოთხი უნდა დაგენიშნათ. არა, ერთი ეს მითხარით, სადღა გამოვყო თავი, სად გავამხილო, ვინ რას იტყვის?

**პეტ.** ამ კითხვაზე გამგეობას...

**მარო.** (**გააწყვეტინებს**) მე თხოვნა შევიტანე გამგეობაში. მე ორ პირობას გაძლევთ, ან მე მომიმატეთ, ან იმ წუპაკს, იმ ქალა-ბიჭას მოუკელით, თორემ ისეთ საქმეს გიზამთ, ისეთ საქმეს, რომ ერთმანეთს ეკითხებოდეთ, სიზმარში ვართ თუ ცხადშიო. (**ადგება და ხელს ართმევს**) დაიხსომეთ კარგად ჩემი სიტყვები. (**გადის**)

**პეტ.** ახია ჩემზე, ახი! (შემოდიან **დედა** და **შვილი** და თავს უკრავენ, პეტრე ხელს ართმევს)

**ივ. გომართელი**

(დასასრული შემდეგ ნომერში)



# დრამატიულ მოღვაწ. ასპარეზზე

ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი,

ალ. ჯამ. ორბელიანი და სხვ.

ქართულ თეატრს აქვს თავისი სხეული და ისტორია. როგორც წინა წერილში ვსთქვით, ამ სხეულის შექმნის დასაწყისი XVIII საუკ. ბოლოს ეკუთვნის და არა XIX საუკუნის ნახევარს. ამას ნათელჰყოფს თვით ისტორიული ცნობაც: ვიცით კარგად, რომ თეატრის არსებობა ქართველებმა ზემოხსენებულ წლებზე ადრეც იცოდენ, ხოლო საქმით 1790 წ. განახორციელეს.

ჟამთა ვითარების უკუღმართობამ და 1795 წ. უბედურმა მოვლენამ, სასტიკად შეაფერხა ახლად დაარსებული საქმე. თბილისში, გორს და თელავს წარმოდგენები იმართებოდა მხოლოდ 1794 წლამდე, მის მერე-კი აღარ, ვინაიდან თბილისი მოსპობილი იყო, აღარც სათამაშო სცენა იყო, ამისთვის ვიღას ეცლებოდა. ვგონებთ, „ევ ლენია“ 1795 წ. მარტში უნდა იყოს ერთად ერთი პიესა, რომელიც დაიწერა მეფე ერეკლეს შესაქცევრად.

ვინ იცის, შეიძლება ისიც ითქვას, რომ დავით ჩოლოყაშვილის, გაბრიელ მაიორის და დავით ავალოვის გარდა სხვანიც სწერდენ და სთარგმნიდენ ქართულად პიესებს, მაგრამ მათ შესახებ ცნობებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. 1795 წ. შემდეგ ქართლ-კახეთში მოხდა დიდი უბედურებანი: ჯერეთ იყო ამ 1795 წ. ქვეყნის აოხრება, აუარებელი ქართველთ დაღუპვა, შერე წელს მოჰყვა დიდი სიძვირე, შიმშილი. 1797 წ. მოჰყვა დიდი ჟამი, რომელმაც მოსპო ისედაც განადგურებული თბილისის ქართველობა; 1798 წ. გარდაიცვალა მეფე ერეკლე, 1799 წ. მოხდა ნაისურის ომი, 1800 წ. გარდაიცვალა მეფე გიორგი. ამას მოჰყვა დიდი აშლოხება და მერე ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება.

ასე, სულ 5 წლის განმავლობაში ამდენი უბედურება მოევლინა ქართლსა და კახეთს და აბა თეატრისთვის მეცადინეობა და შრომა ვიღას შეეძლო. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ სიტყვა „თეატრს“ ქართველნი მწერლობაში სხვა გზითაც ხმარობდენ, მაგალითად, არის ერთი ძველი წიგნი ბერძნულიდამ ნათარგმნი ახტალის მიტროპოლიტის ითაკიმეს-მიერ სახელად **„თიატრონ და პოლიტიკონ“**. არის კიდევ მეორე ხელთ-ნაწერი ძველი წიგნი, გადაწერილი 1817 წ., რომელსაც **„საპოლიტიკო თიატრი“** ეწოდება. საგანი ორივეს სადმრთო შინაარსის უნდა იყოს, ხოლო წერის ოსტატობა, როგორი არის, ნამდვილ თეატრალური, თუ სხვაფრივი, ამისი ჩვენ არა ვიცით-რა.

ქართველებმა თეატრის ხსენება რომ 1790 წ. ადრე იცოდენ, ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც მ. თამარაშვილის ცნობით, თვით XVII საუკუნის ნახევარს, იტალიას, რომს და ნეაპოლს იყვენ ისეთ ქართველი მოწაფენი, რომელნიც იმ ქალაქებში თვით უმაღლეს კომერციასაც სწავლობდენ. ასეთ მოსწავლე მოწაფეებსა, აბა ევროპიულ თეატრის ცნობას და ცნობიერებას ვიღა დაუშლიდა. უეჭველია თავიანთ სწავლასთან თეატრის ხელოვნების მცირე ცოდნაც ექნებოდათ. ასე იყო თუ სხვაფრივ, ამას ჩვენ არ გამოვეკიდებით, ამიტომ გადავალთ XIX საუკ. შემდეგს დროზე, იმ პირთა და პიესების ცნობებზე, რაც-კი 1850 წლამდის დაწერილა.

28 დეკემ. 1800 წ. გარდაიცვალა მეფე გიორგი; სიკვდილის წინა დღით მეფემ მიიხმო თბილისში მყოფი რუსის გენერალი ლაზარევი, დაავალა: დამიწერე წერილი, რომ ჩემს ცოლ-შვილსა და ქართლ-კახეთის ტახტს პავლე იმპერატორს ვაბარებ. გენერალმა დასწერა წერილი მოკლედ, მეფემ მოაწერა ხელი, დაასო სამეფო ბეჭედი და წერილი შიკრიკით გაუგზავნა პავლე იმპერატორს, მის მერე შეერთებაც მალე მოხდა—ქართლ-კახეთის ტახტი რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა.

ამ დღიდან ქართველებმა რუსეთისაკენ იწყეს მგზავრობა, რუსული სწავლის მიღება, რუსული ენის შესწავლა, წიგნების ბეჭდვა და თეატრის გაცნობა უფრო უკეთესად. ასეთის ცვლილებ'ის საშუალებით, ქართველნი მოკლე დროის განმავლობაში ბევრს უცხო რამეს გაეცნენ, 1817 წ. თბილისში, პირველად „ქართული გაზეთი“ გამოსცეს, წიგნების ბეჭდვაც იწყე'ოდა, მასთან პიესების წერასა და თარგმნასაც შეუდგნენ.

დრამატიულ მწერლობის ასპარეზზე XIX საუკ. პირველ წლე'ის შემდეგ კარგად სჩანს მგოსანი თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე, როგორც მთარგმნელი ევროპიის პირველ ხარისხოვან ავტორე'ისა მაგალ.: როგორც შექსპირის, ვოლტერის, რასინის და სხ.

(შემდეგი იქნება)

ზ. ჭიჭინაძე

## მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა

დიდი ხანია ქართულ მელპომენას არ გაუღიმნია ერთი მისი საუკეთესო წარმომადგენელის ხელვნებით...

და აჰა, ორშაბათს, 29 მარტს, საზოგადოება კვალად იხილავს **მაკო საფაროვ-აბაშიძისას** ქართულს სცენაზე მხცოვანი დრამატურგის გ. სუნდუკიანცის პიესა „ხათაბალა“-ში ნატალიას როლის შემსრულებლად.

ვინ არ იცის, რომ **მაკო საფაროვ აბაშიძისა** ქართული სამუდამო სცენის ერთი მთავარი საძირკვლის ჩამყრელთაგანი, ქართული სასცენო ხელოვნების შემქმნელთაგანი, სამშობლო თეატრის ამყვავებელთაგანია,— სცენის დაუღალავი მუშაკი იმ დროისა, როდესაც თეატრის მსახურის გზა ნარეკლებით იყო მოფენილი...

თითქმის 35 წ. **მაკო საფაროვ-აბაშიძისა**, ღვთიურის ნიჭით დაჯილდოებული, აცხოველებდა ქართველი მელპომენის ტაძარს...

მუდმივ შრომით მოქანცული ჩამოშორდა სცენას, მაგრამ არც ერთს წუთს არ მოშორებია ქართული თეატრის საქმეს, როგორც მისი მოჭირნახულე და ეს დამსახურებული მსახიობი ხელოვნების ტაძრის მუშაკია დღევანდლამდე...

ეჭვი არა არის, თეატრის მოყვარული საზოგადოება, რომელიც არა ერთ გზის დამტკბარა **მაკოს** თამაშით, 29 მარტს დაუზარებლად დაესწრება ქართულ თეატრში მის მონაწილეობით გამართულ წარმოდგენას.

* *
*

(ვუძღვნი ერთ-მრავალთაგანს)

ადამიანო ღირსი არ ხარ ამ სახელისა,
არა ხარ ღირსი, რომ გიხმობენ ადამიანსა,—
მკერდს გული გიცემს ეშმაკური, ფლიდი, ეული
და თავიც მოგწონს რომა ფიქრობ ყოველთვის ავსა.
მეფე გგონია შენი თავი ამ ქვეყნიური,
ასამაღლებლად ყველას სწირავ, არას იშურებ,
კაცურსა რწმენას ფეხქვეშ სთელავ, ვითა მტარვალი,
შენსა მამულსა, შენსა ენას ჰკიცხავ, ივიწყებ...
და გაიძახი უსირცხვილოდ შენს მეგობრებში,
რომ მაგით გინდა ააშენო ქვეყნად სამოთხე,
თვით შენ შეიქმნე დიდებული საქმის დამწყობი:
ძმა ძმას წაჰკიდე, შეაძულე სამშობლო კუთხე!..
თვით მებრალები, საცოდავო, შესაბრალიც ხარ,
რადგან არ უწყი ამ ქვეყნადა რა გაქვს საგანი,
თითქო იმისთვის გაჩენილიხარ რომ დაჰგმო მოძმე,
მოუკლა რწმენა და შემუსრო მისი აკვანი.
საბრალო არი შენი ერი და მისი კიდე,
რომ დაებადე, აღეზარდე, ჩასნთქე ჰაერი,
საბრალო არი შენი ერი, რომ ავაგლახებ,
რომელიც ერთხელ ამაყობდა სვე ბედნიერი...

**დ. გაბრუაშვილი**

# სათეატრო ამბები

## ადგილობრივი სცენა

✦ **ქუთაისის დრამ. საზ. გამგეობა** უკვე შეუდგა მომავალი სეზონისათვის მზადებას.

✦ **ვალ. გუნიას** მომავალი სეზონისთვის ისევ ქუთაისში იწვევენ რეჟისორად.

✦ **ქართ. დასი ვ. მესხიშვილისა და კ. მესხის** მონაწილეობით წარმოდგენებს გამართავს დასავლეთ საქართველოში—ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, სამტრედიაში, ხონში და სხ.

✦ **ქარ. დრ. საზ. კრება** მოხდება ამ ახლო ხანში.

✦ **მუსიკოსი ფოცხვერაშვილი** მაისის პირველ რიცხვებში ეწვევა თბილისს და კონცერტს გამართავს. სხვა მის ნაწარმოებთა შორის შესრულებული იქმნება მისივე ნათარგმნი „**ბაჰბაჰ მდევის დაღუპვა**“, სიმფონიურ ორკესტრისა და გუნდისათვის დაწერილი.

✦ **ხომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების** სასარგებლოდ, გუბერნატორის ნებართვით, 1 აპრილს გაიმართება წარმოდგენა.

✦ **რუსთა დრამატიული წრე** დავგამოდებით ამზადებს კარპოვის პიესას „**მუშათა უბანი**“ ზუბალაშვილთა სახელობის სახ. სახლში დასადგმელად. იხატება ახალი დეკორაციები, მზადდება მოძრავ მანქანებიანი ქარხანა, მოწყობილებანი და სხ. წარმოდგენა გაიმართება 3 აპრილს. ადგილების ფასები სახალხოა, 1 აპრილამდე ბილეთები განსაკუთრებით მუშებზე გაიყიდება, შემდეგ საზოგადოთ.

✦ **სახალხო სახლში** 1 აპრილს, ხუთშაბათს წარმოადგენენ „ისმინე ისრაილ“ და „დედის ერთა“-ს.

✦ **რუსთა წრის საიუბილეო** წარმოდგენაზე დასასწრებლად ბეჭდვითი სიტყვისა და გამნათლებელ

დაწესებულებათა წარმომადგენელთ ადგილი მიეცემა ორკესტრში, ყველას მოსაწვევი ბილეთები გაეგზავნება.

✦ **სალიტერატურო საღამო.** აპრილის ბოლო რიცხვებში გრ. რობაქიძე გამართავს ფრიად საგულისხმო საღამოს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ვაჟაფშაველა, ივ. გომართელი, კიტა აბაშიძე, ილ. ელეფთერიძე, ლალიონი, ნ. ლორთქიფანიძე, შ. არაგვისპირელი, გრ. დიასამიძე, სვ. ყიფიანი, მ. ადამაშვილი, ა. შანშიაშვილი, ლევ. მეტრეველი. ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი და სხ. მონაწილენი წაიკითხავენ თავ-თავიანთ ნაწარმოებს, იმსჯელებენ და სხ.

✦ **გ. ვ. გედევანოვის (მირალიანის) 25 წ. საიუბილეო** კომიტეტი დიდის ამბით ემზადება დღესასწაულისათვის. იუბილე, როგორც ვწერდით, გამართება 2 მაისს. აპოთეოზის მოწყობა დაევალათ ს. კლდიაშვილს, ა. სარაჯიშვილსა და ა. ბუზენს.

✦ **ქიათურის დრამ. საზოგ. გამგეობამ** დაადგინა მონაწილეობა მიიღოს დამსახურებულ მსახიობის გ. ვ. გედევანოვის საიუბილეო დღესასწაულში, ამიტომ: 1, ადრესის წასაკითხავად და საჩუქრის მისართმევად გამოგზავნოს ს. ტარუაშვილი და 2, მიიწვიოს გ. ვ. გედევანოვი ქიათურაში, გაუმართოს წარმოდგენა და შემოსავალი იუბილიარს გადასცეს საჩუქართან ერთად.

✦ **ზეინაბის განამართლება** მოხდება ქართულ თეატრში 9 აპრილს.

✦ **ქართ. თეატრის კაპელდინერთა** სასარგებლოდ 8 აპრილს ქართ. თეატრში წარმოდგენილ იქნება **„ალლუმი“**.

✦ **ქარ. ფილარმონიულ საზოგ. კონცერტი**, გუბერნატორის ნებართვით, გაიმართება 4 აპრილს არტისტიულ თეატრის დარბაზში შემოსავალი მიემატება ხსენებულ საზოგადოების თანხას.

✦ **ს. გლახაშვილმა** დასწერა ახალი პიესა **„მბრძანებლის გადაყენება“**, დრამა 1 მოქ. აბდულჰამიდის ცხოვრებიდან. ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება

✦ **ა. შანშიაშვილმა** დაამთავრა ახალი დრამატიული პოემა „შოთა“.

✦ **ხვალ 29 მარტს მ. მ. საფ -აბაშიძის** მონაწილეობით ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება **„ხათაბალა“**.

## რუსეთის სცენა

✦ **სახელგანთქმულ დრამატურგს ი. ნ. პოტაპენკოს** ამ ჟამად გარმონიის შესწავლა დაუწყვია; მას განუზრახავს ოპერის დაწერა. ი. პ. წინად კონსერვატორიაში სწავლობდა.

✦ **როსტანის შანტეკლერმა** რუსეთშიაც გაიჩინა მომხრენი; უკვე შესდგა დასი მოსკოვის ფულანდარდა თაოსნობით, რომელსაც განუზრახავს ამ პიესის წარმოდგენა რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში.

## უცხოეთის სცენა

✦ **მეფე ედუარდი და „შანტეკლერი“.** პარიზში ყოფნის დროს მეფე ედუარდი საიდუმლოდ დაესწრო როსტანის „შანტეკლერი“-ს წარმოდგენას. 1 მოქმედება მეფემ ხალისით მოისმინა, 2 მოქმედებამ მოქანცა, მესამე მოქმედების დროს მეფემ დაამთქნარა და ტკბილად მიიძინა. პიესის დასრულების დროს თანამხლებელმა სიფრთხილით გააღვიძა უმაღლესი სტუმარი. გამოღვიძებულმა მეფემ გულ-კეთილად გაიღიმა და მხურვალე ტაში დაუკრა. შემდეგ მიიხმო თეატრის დირექტორი და მადლობა გადაუხადა—პიესის ნახვით ვისიამოვნეო.

✦ **რ. ბრაკო** ამთავრებს ახალ კომედიას „პატარა წმიდანი“, (Il piccolo Santo).

✦ **ბიერნსონი,** ნორვეგიის სახელგანთქმული დრამატურგი, მძიმე ავადმყოფობისაგან მორჩა. ნორვეგია ამ ამბის გამო დიდს სიხარულშია და ფიქრობს თავის საყვარელი მწერლის შინ დაბრუნების გამო ეროვნული დღესასწაული გადაიხადოს. ექიმების სიტყვით, ბ ი სამშობლოში დაბრუნდება ნორვეგიის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს (17 მაისს).

## სცენის გარედ

✦ **ეკ. გაბაშვილის იუბილე** გაიმართება მომავალ შემოდგომაზე მისი 40 წ. სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად. სადღესასწაულო კომიტეტი უკვე შესდგა და განზრახვა აქვს გამოსცეს მწერლის საუკეთესო ნაწერები ორ ტომად. სადღესასწაულოდ გაიმართება სალიტერატურო დილა, წაიკითხვენ რეფერატს მწერალი ქალის შესახებ, აჩვენებენ ცხოველ სურათებს მისის ნაწარმოებიდან, სხვა-და-სხვა წარმომადგენელნი მიულოცვენ და სხ.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის ლექციები** გაიმართება სახალხო სახლში 1) 4 აპრილს სპილიოტისა **„პეტრე დიდი“**, 2) 11 აპრილს **„ჩეხოვის დილა“**: ა. ვასილიევი წაიკითხავს „ძველი თაობა ჩეხოვის ნაწარმოებში“, ნ. აბრამოვიჩი—„ახალი თაობა ჩეხოვის თხზულებაში“.

✦ **ფულადნარმა ა. ი. მანთაშევმა** სომეხთა სასულიერო სემინაარის ასაშენებლად 200,000 მანათის გარდა, კიდევ გადასდო 50,000 მან.

✦ **მ. კ. როხლინამ** აღუთქვა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას, ვიდრე ხსენებული უნივერსიტეტის სკოლის მოსწავლენი შესძლებდენ სწავლის ფულის გადახდას, თვიურად **ხუთს მანათს** გადავიხდიო. სახ.-უნივერ. გამგეობამ მადლობა გამოუცხადა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობის წევრთ მიენდო **სობოლევსკის** ლექციაზე დასასწრები ბილეთები ხელზე გაყიდონ. ბილეთები გაიყიდება კავკ. **სამეურნეო** საზოგ. შენობაში, სახაზ. თეატრის კასაში და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შთაბეჭდილებანი

(ნ. ი. აბრამოვიჩის ლექციების გამო)

## I თვითმკვლელობა

...ყოველდღიური ცხოვრება მთელის თავის ჭუჭყისა და არარაობის სიმძიმით დააწვა ადამიანს. უკმაყოფილება იდეალსა და სინამდვილის შორის სატანიურის სისწრაფით იზრდება. შეურაცხყოფილი სულის პროტესტი სთრგუნავს სიცოცხლის, ბედნიერების, მშვენიერების მძლავრს წყურვილს. თვითმკვლელობა, ეს სამარცხვინო დადასტურება არა თუ უძლურებისა, არამედ დამარცხების ც, ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცა. უკმაყოფილების თანამედროვე ფსიხიკა ჰქმნის ლიტერატურას, რომელსაც ერთად ერთს თავის მიზნად დაუსახავს ხოტბა სიკვდილისა და სამარადისო წყვდიადის მიმართ. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც გეტეს „ვერტერმა" სასოწარკვეთილებისა და უიმედობის სუდარა გადააფარა ქვეყანას, დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ოტტო ვეინინგერის შხამმა „სქესმა და ხასიათმა" საძირკველი ჩაუყარა თვითმკვლელობის ეპიდემიას. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც სტრინდბერგმა მთელს ქვეყანას ამცნო ქალაქის ცხოვრების უაზრობა და გარყვნილება, ყოველივე ადამიანის ბუნებაში საშინელ შხამის არსებობა. ეს შხამი სწამლავს ყოველსავე კეთილს, ლამაზს და დიდებუნებოვანს. სულის მოთმინების ფიალა ივსება .. „კმარა! ან ყველაფერი, ან არაფერი! კომპრომისით ცხოვრება შეუძლებელია!.." გაისმის სასიკვდილოდ გამზადებული ადამიანის პროტესტი...

ირგვლივ უიმედობა, ოცნებათა, წმინდათა-წმინდის შელახვა, ბედისწერის ავსული ხარხარი გამეფებულა... და ამ კრიტიკულ დროს არ ისმის გამამხნევებელი ხმა მძლავრის, გამბედაობითა და ჯან ღონით აღჭურვილ ადამიანის. არავინ გვეუბნება, რომ სულს, როგორც ამგვარს, არავითარი კავშირი და თვისტომობა არა აქვს ყოველდღიურ სინამდვილესთან. რომ არ ყოფილა კაცობრიობის ცხოვრებაში არც ერთი ხანა, როდესაც სულსა და ჩვენ ცხოვრების შორის სრული თანხმობა, ჰარმონია ყოფილიყოს. რომ ეს უთანხმოება საჭიროა უმაღლეს ამოცანის, სამარადისო ჭეშმარიტების და ადამიანის დანიშნულების განსახორციელებლად: რომ მხოლოდ ეს უთანხმოება აცხოველებდა ამაყს გონებას, შემოქმედების მის მძლავრს სურვილს... რომ ამ უთანხმოების გარეშე, ადამიანს მხოლოდ ერთს წამს უნდა ეცოცხლა ლამაზი, ბედნიერი ცხოვრებით და შემდეგ უნდა დახავსებულიყო... არ გვესმის მკაცრი მოწოდება: „შესდექით, სულით უძლურნო! ჭეშმარიტების მაძიებელნო, თვით თქვენი ცხოვრებაა ჭეშმარიტება! მშვენიერების მაძიებელნო, თვით თქვენი თავგამოდებული ბრძოლაა მშვენიერება!.." არ ისმის იმედის გამამხნევებელი ხმა... და განა ეს ნუგეშინი არ მიაღწევდა თავის მიზანს? მიაღწევდა, უსათუოდ მიაღწევდა... მე მაგონდება ტურგენიევი და პატარა ბეღურა. საშინელი სიკვდილი ქორის სახით თავს დასტრიალებს ბეღურას. ერთის ან ორის წამის შემდეგ მტარვალის ბასრი კლანჭები შეწყვეტენ უმანკო, უდანაშაულო გულის ცემას. მაგრამ ბეღურას არად მიაჩნია სიკვდილი. თუ ბედმა არგუნა კიდევ რამდენიმე წუთით სიცოცხლე, იგი სხვასაც გაახარებს დათვითაც დასტკბება... მას დაატკბობს თვით სიკვდილის სიახლოვე, თავისი უშიშრობა, დაუდევრობა...

სიცოცხლის ნაკადული, გამბედავი ბეღურა და სულმდაბალი ადამიანი...

არა, მეც მწყურია სიცოცხლე, მეც მინდა ჩემს სიკვდილს გაბედულად თვალი თვალში გავუყარო!.. დაე, თავს დამტრიალებდეს სიკვდილის შავი აჩრდილი..

მე ახლაც ვიბრძვი... მე კვლავაც ვიბრძოლებ...

**ცისკარი**

*
* *

ახალგაზდა პოეტების
როს მომესმა ჩანგის ჟღერა,
მხცოვან მებრძოლ მეომარსა
კვალად გული ამიძგერდა.
მეც მოვკიდე ჩანგურს ხელი,
მკვნესარ ჰანგზე ავაჟღერე,—
ვით ბულბულმა მაისის ვარდს,
ტანჯულ სატრფოს ზედ დავმღერე.
ვუთხარ: სატრფოვ, ნუღარ კვნესი,
მრავალი გყავს მოტრფიალე,
მჩაგვრელ-მტარვლის ბრჭყალებისგან
გამოგიხსნით დღეს თუ ხვალე
აგაყვავებთ კვალინდებურ,
მოგრთავთ ძვირფას ძოწეულით,—
შერცხვეს იგი ამა ქვეყნად,
ვინც არ გეტრფის წმინდის გულით!..

**გ. შინატეხელი**

# ვარსკვლავთ-მრიცხველობა

რაც საქართველოში პოეტია, იმის ნახევარი ნაღდი მკითხველი რომ ჰყავდეს ქართულ ჟურნალ გაზეთს, მაშინ წლითი წლამდე თავისუფლად იხეირებდა ათი დღიური გაზეთი, სამი თვიური, ხოლო ხუთი კვირეული ნახატებიანი ჟურნალი; ყველას თანამშრომლები წელში გაიმართებოდენ, თვალში ჩინი მოემატებოდათ და თავში... ფიქრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

რამდენიც სცენის მოყვარე-„არტისტია“ საქართველოში, იმის ნახევარი რომ ნაღდი მაყურებელი ჰყავდეს ქართულ თეატრს, მაშინ თავისუფლად შეინახებოდა წლიდან წლამდე ორი დრამატიული, ერთი საოპერო და ერთიც ფარსის დასი, თვითეული 30 ქალ-კაცისაგან შემდგარი საქართველოს მიყრუებულ ადგილებში წარმოდგენების სამართავად; ათი ინვალიდი — პენსიონერი, თორმეტი უნიჭო სცენის მეტხორცი და ექვს-ექვსი ქალ-ვაჟი იტალიაში გაიგზავნებოდა... ქართული სცენისათვის მოსამზადებლად.

*
* *

ჩვენი თავადიშვილნი რასაც წოდების შერჩენისათვის ზრუნავენ, იმდენი კაცური ღირსებისა და მამულების დაცვისათვის რომ იფიქრონ, ჩვენი ქვეყანა... უფსკრულში აღარ გადიჩეხებოდა

*
* *

რამდენსაც ჩვენი მამულიშვილნი სამშობლოს გაყიდვაზე, ტერიტორიის დაკარგვაზე სწერენ და იერემიასებურ ცრემლთ აფრქვევენ, მისი მეათედი რომ ჩუმად უანგაროდ საქმით იმოქმედონ, მთელი საქართველოს დედულ-მამული ქართველ გლეხსვე დარჩებოდა.

*
* *

რამდენიც ჟურნალისტია, იმის მეოთხმოცედი რომ ჭეშმარიტი მოღვაწე ჰყავდეს სინათლის გავრცელების საქმეს, ქვეყანა სამოთხეს დაემგზავსებოდა...

*
* *

რამდენ ღვინოსაც ქართველი კაცი სტომაქში ისხავს, იმისი მეათედი წყალი თავის გახრიოკებულ ბახჩა-ვენახს რომ დაუსხას, თავისუფლად მოიშორებდა მიწის გადასახადს, სასოფლო ბეგარას, მოხელეთა ხარჯს, სახელმწიფო სათათბიროს მოთათბირეთა ხარკს, პრიკაზის ვალს და ყველა თავადიშვილის უმაძღარ მადასაც დააკმაყოფილებდა..

*
* *

რამდენი დიპლომიანი „განათლებულიც“ ჩვენა გვყავს, იმისი მეასედი რომ გონებით განვითარებული გვყავდეს, მაშინ ას-გზის ნაკლები უვიცი გვეყოლებოდა და ათჯერ მეტი გულწრფელი მოსაქმე-მოღვაწე.

**იოსებ არიმათიელი**

# დავაფასოთ

ფილოსოფოსმა არისტოტელმა წარმოსთქვა დიდებული პარადოქსი: ადამიანი სოციალური არსებააო...

არისტოტელს რომ წინ სდებიყოს კაცობრიობის ისტორია, დარწმუნდებოდა, რომ ადამიანი სოციალური პირუტყვია...

მე აქ არ ვეხები მდაბიო ხალხს... ერთი მიბძანეთ, რა უნდა მოსთხოვო ბრბოს, რომლის ძარღვებში არა სჩქეფს დიდებულ მოკრივე წინაპართა ალის ფერი სისხლი... მე არად მენაღვლება ის დაგლეჯილი, სიმშილისა და სიბნელისაგან დაავადებული...

მე მინდა მხოლოდ ჭეშმარიტ სოციალურ პირუტყვთ შევეხო...

მე მინდა გამოვააშკარავო, თუ რა დიადი ღვაწლი მიუძღვით ამ ხელ-ყანწიან ხმალ-ხანჯლიანთ ჩვენის ბედკრულ სამშობლოს წინაშე... მე მსურს ვაუწყო ყველას, განურჩევლად სქესის, ეროვნებისა, სარწმუნოების, თუ რა განუზომელი სამსახური გაუწევიათ ამ ჩინ-ორდენ.—ეპოლეტებიანთ მთელის, დიად მთელის კაცობრიობის წინაშე...

მსურს, მინდა...

მაგრამ ძალი არ შემწევს, კალამი მღალატობს თვალთ მიბნელდება...

რა დაუთესიათო?!. როგორ თუ რა დაუთესიათ? მიბძანდით პრიკაზში და იქ მოგახსენებენ, რაც დაუთესიათ... გაგზავნეთ ტელეგრამა საიქიოს და იქიდან მოგახსენებენ, რაც დაუთესიათ...

კაცობრიობის წინაშე რაღა დაუთესიათო?!

უსირცხვილონო, ბრმანო! გამოიღეთ თვალთა თქვენთაგან ხიჭვი, რათა იხილოთ სხვისი ზნეობრივი უადრესობა... მაშ ჩვენი ენა, ჩვენი ლამაზი მრავალ-ტანჯული ენა ვინ შექმნა, ვინ აღორძინა?!. ვინ ამოუყენა ეს ენა გვერდში რუსულს, ფრანგულს და სხვა ენათ... უმადურნო!..

ჩვენებური ინტელიგენცია? ბაგენი ჩემნი დადუმდებიან... **De mortuis aut dene, aut nihil** (მკვდარზე ან კარგს იტყვიან, ან სულ არაფერსაო)! საკმარისი არ არის განა, რომ კუბოსა შინა მდებარეც იგი ლამაზი და მშვენიერია!?.

საკმარისია... ჯერ ეს დავაფასოთ...

Par-Don

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

## სამანუფაქტურო ამხანაგობა

# ნაზაროვისა და ოგიევისა

ერევნის მოედანზე, ქალაქის გამგეობის დარბაზის ქვეშ.

**ყოველდღე მოსდით აბრეშუმის, მატყლის,**

**ტილოს და გამზეულის დიდ ძალი საქონელი**

**უკანასკნელი მოდისა**

**ამხანაგობა პატივცემულ საზოგადოების ყურადღებას მიაქცევს საქონლის ღირსებას და დღემდის არ ყოფილ სიიაფეზე** 2—1

სყიდვა შეუვაჭრებლად

# დროება

წელიწადი მესამე

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი კვირეულ დამატებით. წლიური ფასი 8 მ. და 50 კ ნახევარი წლით 4 მ. 80 კ. ერთი თვით 80 კ., ცალკე № 5 კ., დამატებით 7 კაპ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „დროების“ კანტორაში და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქუთაისში: ის. კვიცარიძესთან, ხონში: გ. მებუკესთან, გორში: ს. შველიძესთან, ჭიათურაში: ს. ტარუაშვილთან. ფული გამოიგზავნოს Тифлисъ, ред. „Дроэба“, И. С. Агладзе. რედაქ გამ. **ი. ს. აგლაძე**

---

პეტერბურგში აპრილიდან გამოვა ყოველ თვაური სურათებიანი ჟურნალი

## „ЗАЩИТА ЧЕЛОВѢКА“

(ადამიანის დაცვა)

მონაწილეობას მიიღებს **ლ. ნ. ტოლსტოი**

პირველ ნომერში მოთავსებული იქნება **კირიონ ეპისკოპოსის სურათი და სტატია ქუთაისის გიმნაზიაში მომხდარ ინციდენტის შესახებ.**

ფასი წლიურად 1 მ. 50 კ., ექვსი თვით 80 კ. ხელის მოწერა მიიღება—Петербургъ, Бронницкая, № 13. Журналъ „Защита Человѣка.“

5—1 რედაქტორი **მ. ზოლქვაძე.**

---

# ახალი ცხოვრება

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი,. წლიურად 7 მ, ნახევარი წლით 4 მ. საზღვარ-გარეთ 14 მ. ნახევ რი წლით 7 მ., სამი თვით თბილიში 2 მ. 20 კ, თბილისის გარედ 2 მ 50 კ. ერთი თვით 80 კ, თბილისის გარედ 90 კ. ადრესი: რუსის ქუჩ., № 3, ზემო სართული. Тифлисъ тип. „Шрома“ Кал. Кон. Циладзе.

---

## ქართული თეატრი

### ია კარგარეთლის საღამო

**შაბათს, 3 აპრილს, წარ. იქნება:**

## გეგრის საღერღელი

ვოდ. 1 მოქ. აწყურელისა.

მონაწილეობენ: ქ-ნი გაუბნია-ცაგარელი, ტ. აბაშიძე და ბ-ნი ვ. აბაშიძე.

საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობენ: კოლოტოვისა, ბ-ნნი ევლახიშვილი, სარაჯიშვილი და ჭალცევი.

**დას. საღ 8 ს.** გამგე ი. კარგარეთელი